შპს „საერთაშორისო აკადემია ლოგოსი“

სახელი, გვარი---------- თარიღი ----------

VIII კლასი

დავალება I (12 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ გაერთიანებული მონაკვეთი გოდერძი ჩოხელის მოთხრობიდან „მოხევის სადღეგრძელო“ და უპასუხეთ კითხვებს:

ყველა მოელოდა, რომ მოხევე ხევის მთებივით მაღალი და მხარბეჭიანი იქნებოდა. მათ წინ კი შუახანს მიღწეული, გამხდარი, დაბალი ტანის კაცი იდგა.

კახური ღვინით გავსებული ჯიხვის რქა მოართვეს მოხევეს, რომელმაც ყანწი ჩამოართვა მომწოდებელს და ორივე ხელით მაგრად ჩაბღუჯა. სიტყვის თქმამდე რამდენიმე წამს უფრო დაიძარღვა და გაიყურსა, როგორც ავაზა გაიყურსება ხოლმე ნადირობის ჟამს.

ხალხიც უფრო გაისუსა. ისინი მოხევისაგან მოელოდნენ, რაღაც დიდ მჭერმეტყველებას, სადღეგრძელოს, რომელიც სავსე იქნებოდა მთის ყვავილებივით ლამაზი სიტყვებით. მოხევემ კი სულ რამდენიმე სიტყვით წარმოთქვა სადღეგრძელო:

– ხალხნო! მოდი, მღვრიემდე გაგვიმარჯოს! – თქვა ეს და ყანწის მოყუდება დააპირა.

– თუ შეიძლება, ვერ გავიგეთ?! – მიმართა თამადამ და მოხევემ ყანწი ტუჩებიდან მოიშორა.

– კარგით, მაშინ გრძლად გეტყვით, რაღა იქნება, – თქვა მოხევემ, ერთ ხანს ისევ გაისუსა და დაიწყო:

– ღმერთის მადლმა და ქვეყნის მადლმა, ძალიან მიყვარს ჩვენი სამშობლო. იმისი მთაც და იმისი ბარიც. მაგრამ ერთ რამეში უნდა გამაგიტყდეთ: ხანდახან ვნადირობ, ჯიხვებსა ვხოცავ. ეს იცოდა მთელმა ხევმაც და კაკებეს რომ ეძახდნენ, იმათაც. მაგზავნილიც მყავნდნენ სათვალთვალოდ კაცები.

ერთხელაც, დილაადრიან, მანქანა მოადგა ჩემს სახლსა. დამიძახეს. გამოვედი გარეთ.

– სანადიროდ უნდა წახვიდე, – მეუბნება ბრძანების კილოთი ერთ-ერთი. მივხვდი, ვინც იყვნენ.

– რა სანადიროდ, ან თოფი სადა მაქვს, ან ნადირობისა რა გამეგება?! – გავიკვირვე.

– აი თოფი და ნადირობა რომ იცი, იმიტომ მოვედით შენთან. სასწრაფო საქმეა, თვითმფრინავი გველოდება თბილისში, რამდენიმე საათში ჯიხვი უნდა ჩამოგვიტანო მთებიდან და სხვა ქვეყანაში უნდა გავგზავნოთ თვითმფრინავით დიდი კაცის დაბადების დღეზე.

ეს იმიტომ გამიმხილეს, რომ მე გამეგო, რამდენად სერიოზულ საქმეზე იყვნენ ჩემთან მოსულნი, დავნდობოდი და რაც შეიძლება ჩქარა ჩამომეტანა მთებიდან ჯიხვი.

შევბრუნდი შინ, უცებ გავემზადე. ჩავსხედით მანქანაში, ჩავედით დარიალას, გავაჩერებინე, ავიღე იმათ მოტანილი თოფი და შაუყევ აღმართსა. ზურგითა ვგრძნობ, რომ დურბინდით შემომცქერიან. ჩემ სიცოცხლეში ესეთი თოფი არ მინახავს, არა მჭერია ხელშია. სამიზნის ზემოთ დურბინდი ჰქონდა, რომ გავხედე, ეგრე გამოჩნდა შიგ ხდის მწვერვალები, როგორც ხელისგულზე – თითები. ერთ ადგილას ჯიხვები შევამჩნიე და იქით ავუყევ აღმართსა. ვჩქარობ, რაკი თავს ვიდევ ეს საქმე, ხალხი არ მინდა გავაწბილო. ჯიხვებმა დამინახეს და დაფრთხნენ. გული ამოვარდნასა მაქვს, ისე შევრბივარ. მომწყურდა წყალი, პირი მიშრება. უცებ, ჩემს წინ, კლდეში წვეთ-წვეთად მომავალი სისველე დავინახე. კლდიდან გამომავალი წყლის წვეთები ხელისგულში ჩავიგუბე და დავეწაფე. ჩემი ხელისგულიდან კლდეზე ჩამდინარე წყლის წვეთებს თვალი გავაყოლე ქვემოთ და რას ვხედავ? ის წყლის წვეთები სხვა წვეთებს ერთვიან, მრავლდებიან, ნაკადულს ქმნიან და ბროლივით მიიმსხვრევიან კლდეზე. გზადაგზა კიდევ ასეთივე ნაკადულები უერთდებიან და ხდის ხეობაში იყრებიან ერთადა. მყინვარის შუბლივით თეთრი და სუფთა მიდის ქვემოთ ხდის წყალი. მიდის, ისიც ბროლივით მიიმსხვრევა. თოფზე დატანებული დურბინდით ჩავცქირე ამ წყალსა და ელდა მეცა – დავინახე, თითქოს პირველად მენახოს, როგორ უერთდება ეს სუფთა და კამკამა წყალი მღვრიე თერგსა. ერევა და ცოტა ხანს თეთრ ზოლად მისდევს, არ უნდა ამღვრევა, სისუფთავე სწადია, მაგრამ მეტი გზა არა აქვს, ისიც თერგივით იმღვრევა მალევე.

გული დამწყდა.

ჩამოვჯექ.

რა ვქნა, არ ვიცი. შემნანდნენ ჯიხვები სასიკვდილოდ. ჩავცქირე დურბინდით და დავინახე მანქანა.

ავდექი და ხელცარიელი წამოვე ქვემოთ. ჩავაბარე თავისი თოფი.

იმ დღის მერე ვსვამ ამ სადღეგრძელოს, რაც იმ გაგებაში გამოიხატება, რომ მანამ სული სუფთა გვაქვს, გული სუფთა გვაქვს, სუფთა საქმეებს ვაკეთებთ და ისე არ ავიმღვრევით, რომ ვეღარ ვგებულობთ, საით მივდივართ, რატო და რისთვის მივდივართ, მანამდე გაგვიმარჯოს. მღვრიემდე გაგვიმარჯოს! – თქვა მოხევემ და ჯიხვის რქა მოიყუდა.

(1) 1. რატომ დასჭირდა მოხევეს სადღეგრძელოს განმარტება?

_____

(1) 2. თქვენი აზრით, რის სიმბოლოა მოთხრობაში ნაკადული?

_____

_____

_____

(1) 3. როგორ იმოქმედა მოხევეზე სუფთა ნაკადულის ხილვამ?

_____

_____

_____

(1) 4. თქვენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს „მღვრიემდე ცხოვრება"?

_____

_____

_____

___

(4) 5. დაახასიათეთ მოხევე.

(4) 6. იმსჯელეთ, რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი.

დავალება II (8 ქულა)

იპოვეთ და გაასწორეთ წინადადებებში დაშვებული შეცდომები:

1. სალომეს ბავშვობიდან უყვარდა ნიგოზის ტორტი;_____
2. ახალი სამსახური ლევანს დიდათ არ მოსწონდა;_____
3. გიორგი მეზობელს ურმის თვალის შეკეთებაში ეხმარებოდა;_____
4. ანამ აკაკი წერეთელის ბევრი ლექსი ისწავლა ზეპირად;
   _____
5. ჩემს გამო ჩემი მეგობრები დაისაჯნენ; _____
6. უცნობმა ყველაზე უმოკლესი გზით წასვლა გადაწყვიტა; _____
7. ტურისტები მდინარე იორის ნაპირს მიუახლოვდნენ; _____
8. ნიკოლოზ ბარათაშვილი მე-XIX საუკუნეში ცხოვრობდა;_____

დავალება III (5 ქულა)

ხაზგასმული სიტყვები შეცვალეთ სინონიმებით და წინადადებები ისე გადაწერეთ:

1. ჩვენი მეზობელი ქედმაღალი ქალია;
   _____
2. ზოგჯერ ცხოვრება უახლოეს მეგობრებსაც აშორებს ერთმანეთს;
   _____
3. ხეობაში ანკარა წყარო მოჩუხჩუხებდა;
   _____
4. ვახტანგი ხელმოკლე ოჯახის შვილი იყო;
   _____
5. მამაცი ადამიანი ყოველთვის მიაღწევს მიზანს;
   _____

დავალება IV (5 ქულა)

ხაზგასმული გამოთქმები შეცვალეთ ჩვეულებრივი სიტყვებით და ისე გადაწერეთ:

1. ყველას სურდა სიმართლის გაგება, მაგრამ უცნობმა პირში წყალი ჩაიგუბა;
   _____

2. ამის გამგონე სანდრო სახტად დარჩა;

3. ნემსის ყუნწში გავძვრები და მიზანს მაინც მივაღწევ;

4. ცბიერი კაცი მალე მიხვდა, რომ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა;

5. გიორგი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა სკოლაში;